## საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბრძანება № 01-02/75

**ქ. ბათუმი** **23 მაისი, 2019 წ.**

**2019 წლის ივნისში ბსუ-ში სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №05 გადაწყვეტილების და „ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 3 მაისის №01-02/62 ბრძანების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2019 წლის 20 მაისის გამოცხადებული ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ბსუ-ს პერსონალმა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

   ა) 2019 წლის 27 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით - ბსუ-სთან შრომითი გამოცდილების მქონე და კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურში წარდგენილი იქნეს სამეცნიერო პერსონალის კონკურსის ჩატარების წესით დამტკიცებული კონკურსანტის ანკეტაში აღნიშნული კონკურსანტის ნაშრომის/სტატიის/მოხსენების შესახებ ინფორმაცია თანდართული ფორმით (დანართი 1) შესაბამისად;

   ბ) 2019 წლის 1-ლი ივნისის ჩათვლით - სამეცნიერო კვლევების სამსახურმა (რექტორის მოადგილესთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმებით) უზრუნველყოს კონკურსანტის მიერ დადგენილ ვადაში წარმოდგენილი, წინამდებარე ბრძანების „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის ხელმოწერით დადასტურება.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და სამეცნიერო პერსონალს.
3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოც. პროფესორი მერაბ ხალვაში

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 მაისის N01-02/75 ბრძანების

**დანართი 1**

ბსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ერთეული: ________________

სამეცნიერო ქვე-სტრუქტურული ერთეული (განყოფილება) ________________

სამეცნიერო თანამდებობის პირის სტატუსი და სახელი, გვარი: ________________

1. ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლით მოთხოვნილი პუბლიკაციები/სტატიები (ბოლო სამი წლის - 2016-2019 წლის მონაცემები; არაუმეტეს ხუთისა): *(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)*

| № | ავტორები, ყველა თანაავტორის მითითებით (კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით) | სტატიის სათაური | ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი. ISSN, ISBN, DOI<br><br>პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში) | გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი და სტატიის გვერდების რაოდენობა | ინდექსირების /ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა | კლასიფიკატორის ქვეპუნქტები, რომელსაც შეესაბამება პუბლიკაციები/სტატიები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | |
| 2 | | | | | | | |
| 3 | | | | | | | |
| ... | | | | | | | |

ავტორი:

ვადასტურებ:

რექტორის მოადგილე: ნ. წიკლაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი: ა. ბერიძე

შევსების თარიღი:

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი: თ. მაჭუტაძე

2. სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია (არაუმეტეს ხუთისა):

| № | ავტორები, ყველა თანაავტორის მითითებით (კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით) | ნაშრომის დასახელება | პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზი-რებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონ-ფერენციო მასალები და სხვა) | ჟურნალის/კრებულის დასახელება, ნომერი. ISSN, ISBN, DOI<br><br>პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში) | გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი და სტატიის გვერდების რაოდენობა | ინდექსირების/ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *1* | | | | | | | |
| *2* | | | | | | | |
| *3* | | | | | | | |
| ... | | | | | | | |

ავტორი:

ვადასტურებ:
რექტორის მოადგილე: ნ. წიკლაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი: ა. ზერიძე

შევსების თარიღი:

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი: თ. მაჭუტაძე

3. მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე (კონფერენცია, ფორუმი, სიმპოზიუმი და ა.შ. ბოლო სამი წლის მონაცემები - 2016-2019 წლები):

| № | ღონისძიების დასახელება | ღონისძიების ორგანიზატორი | ჩატარების ადგილი, თარიღი | მოხსენების თემა | თანაავტორი | ელექტრონული მისამართი | ინდექსირების/ციტირების შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი ბაზა | კლასიფიკატორის ქვეპუნქტები, რომელსაც შეესაბამება პუბლიკაციები/სტატიები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | |
| ... | | | | | | | | | |

ავტორი:

შევსების თარიღი:

ვადასტურებ:

რექტორის მოადგილე: ნ. წიკლაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი: ა. ბერიძე

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი: თ. მაჭუტაძე